საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
MINISTRY OF ECONOMY AND SUSTAINABLE DEVELOPMENT OF GEORGIA

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ტექნიკური და სამშენებლო
ზედამხედველობის სააგენტო

**LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW
TECHNICAL AND CONSTRUCTION
SUPERVISION AGENCY**

**0186, თბილისი, ჯიქიას ქ. N8 ტელ: (+995 32) 293-27-32 WEB: www.TACSA.gov.ge ს/კ 202466991
8, Jiqia Str. 0186 Tbilisi, Georgia Tel: (+995 32) 293-27-32, Fax: (+995 32) 293-27-32
Email: tacsa@economy.ge**

KA020127687872317

№ 09/1519

02 / ოქტომბერი / 2017 წ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის
მოსამართლეს ქალბატონ ნათია ბუსკაძეს

ქალბატონო ნათია,

წარმოგიდგენთ შესაგებელს თქვენს წარმოებაში არსებულ შოთა ბუჩუკურის სარჩელთან დაკავშირებით (საქმეზე N3/6055-17).

დანართი: 1. შესაგებელი და თანდართული დოკუმენტაცია 3 ეგზემპლარად - 36 ფურცელი.

პატივისცემით,

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო
ზედამხედველობის სააგენტოს უფროსი

გრიგოლ კაკაურიძე

თბილისის საქალაქო სასამართლო
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
შემოსვლის თარიღი 04.10.17
შემოსვლის დრო
შემოსვლის № 27/5105
ფურცლების რაოდენობა 13+04
02/10/25
01/5

შესაგებელი
ადმინისტრაციულ საქმეზე

თბილისის საქალაქო
სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა კოლეგია
მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

საქმე №3/6055-17

შოთა ბუჩუკური
მოსარჩელის სახელი, გვარი (სახელწოდება)

ნათია ბუსკაძე
მოსამართლის სახელი და გვარი

მოპასუხე:

სსიპ - ტექნიკური და
სამშენებლო
ზედამხედველობის სააგენტო
სახელი, გვარი (სახელწოდება)

ქ. თბილისი, ვ. ჯიქიას ქ. N8
პირადი (საიდენ.) ნომერი ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი)

ალტერნატიული მისამართი

სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ. *სამსახურის ტელ.* *მობილური* *ფაქსი* *ელექტრონული ფოსტა*

2 345370

მოპასუხის წარმომადგენელი:

სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი *პირადი ნომერი* *ძირითადი მისამართი*

ალტერნატიული მისამართი

სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ. *სამსახურის ტელ.* *მობილური* *ფაქსი* *ელექტრონული ფოსტა*

საკონტაქტო პირი:

დავით კუხიანიძე
თენგიზ კოდუა
სახელი, გვარი

სახლის ტელ.

599589856
მობილური *ელექტრონული ფოსტა*

ვალდებული ხართ თქვენი შესაგებელი სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე, თქვენი მოსაზრებები სარჩელისათვის თანდართული საბუთების შესახებ სასამართლოს წარუდგინოთ სარჩელისა და თანდართული საბუთების ასლების მიღებიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, რომლის გავრძელება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს საპატიო მიზეზი.

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge

სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. ქ. თბილისი, ბოჭორმის ქ. 12, 0144
ვებ-გვერდი: www.hcoj.gov.ge; ელ. ფოსტა: council@hcoj.gov.ge

სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

სახით:

დასაბარებელი პირის სტატუსი

სახელი, გვარი | პირადი ნომერი | ძირითადი მისამართი

	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

ალტერნატიული მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

ცნობთ თუ არა სარჩელს?

დიახ ☐

არა ☒

ნაწილობრივ ☐

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. ქ. თბილისი, ბოჭორმის ქ. 12, 0144
ვებ-გვერდი: www.hcoj.gov.ge; ელ. ფოსტა: council@hcoj.gov.ge

მოპასუხის პოზიცია მოსარჩელის მიერ მითითებულ დავის ფაქტობრივ გარემოებებზე

პირველ ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

მე-2 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

მე-3 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

მე-4 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

მე-5 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვარ ინფორმირებული

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

დავის დამატებითი ფაქტობრივი გარემოებები

1. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

2. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

მიგაჩნიათ თუ არა, რომ საქმის წარმოება უნდა შეწყდეს?

დიახ ☐ რის საფუძველზე?

არა ☒

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ სარჩელი განუხილველად უნდა დატოვოს?

დიახ ☐ რის საფუძველზე?

არა ☒

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ უნდა შეაჩეროს საქმის წარმოება?

დიახ ☐ რომელი საფუძვლით?

არა ☒

ხომ არ აპირებთ, შეგებებული სარჩელის აღძვრას?

დიახ ☐ რომელი საფუძვლით?

არა ☒

მოპასუხის პოზიცია სასარჩელო მოთხოვნასა და მის სამართლებრივ საფუძვლებზე

პირველ სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

არ ვეთანხმებით მოსარჩელე მხარის სასარჩელო მოთხოვნას „ქსნის“ ქვესადგურიდან დუშეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ოქრუაანამდე (პკ0+პკ.327+44-მდე) 500 კვ. ელექტროგადაამცემი ხაზის „ქსანი-სტეფანწმინდა“-ს და დუშეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ აჩხოტამდე „ქსანი-სტეფანწმინდა“-ს 500 კვ. ელექტროგადამცემი ხაზის მეორე მონაკვეთის (პკ327+44დან-პკ.950+18-მდე) მშენებლობის პროექტის, ტექნიკური დოკუმენტაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის შესახებ“ სააგენტოს უფროსის 2017 წლის 10 მაისი N 94-04 ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ.

შესაგებელი მოთხოვნის საძართლებრივ საფუძვლებზე:

მოსარჩელე მხარის განცხადებით სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) მიერ დარღვეულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60 პრიმა მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნები, რომლის თანახმადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

„ქსნის“ ქვესადგურიდან დუშეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ოქრუაანამდე (პკ0+პკ.327+44-მდე) 500 კვ. ელექტროგადაამცემი ხაზის „ქსანი-სტეფანწმინდა“-ს და დუშეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ აჩხოტამდე „ქსანი-სტეფანწმინდა“-ს 500 კვ. ელექტროგადამცემი ხაზის მეორე მონაკვეთის (პკ327+44დან-პკ.950+18-მდე) მშენებლობის პროექტის, ტექნიკური დოკუმენტაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის შესახებ“ სააგენტოს უფროსის 2017 წლის 10 მაისი N94-04 ბრძანება (შემდგომში N94-04 ბრძანება) (ასლი თან ერთვის) გამოცემულია საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით, საჩივრის ავტორი უთითებს, რომ შპს „ენერგოტრანსს“ შეეძლო მოეთხოვა სამშენებლო პროექტი, საექსპერტო დასკვნები და სხვა მასალები კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევა მხოლოდ იმ დროს, როდესაც მათ 2016 წელს წარუდგინა სააგენტოს.

კოდექსის 27-ე 2 პრიმა მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე ინფორმაციის წარდგენისას პირი ვალდებულია მიუთითოს, რომ ეს ინფორმაცია მისი კომერციული საიდუმლოებაა. საჩივრის

ავტორი არასწორად განმარტავს მუხლს და უთითებს, რომ მხოლოდ ადმინისტრაციულ ორგანოში
წარდგენისას აქვს უფლება პირს მიუთითოს, რომ ეს ინფორმაცია მისი კომერციული
საიდუმლოებაა, აღნიშნული ჩანაწერი გულისხმობს, რომ საჯარო დაწესებულება არ არის
უფლებამოსილი თვითნებურად, პირის მიმართვის გარეშე აღიაროს რაიმე ინფორმაცია
კომერციულ საიდუმლოებად და ინფორმაციის გასაჯაროების შემთხვევაში, რომელიც შესაძლოა
წარმოადგენდა პირის კომერციულ საიდუმლოებას, მაგრამ ამის შესახებ არ განუცხადებია
ადმინისტრაციულ ორგანოში, ადმინისტრაციულ ორგანოს პასუხისმგებლობა ვერ დაეკისრება.

გარდა ამისა, უსაფუძვლოა N94-04 ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნა კოდექსის მე-60
პრიმა მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, იმ საფუძვლითაც, რომ ზემოთმითითებული
მუხლის შესაბამისად - ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი
ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის
კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხონები. ამ მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი -
ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად
ჩაითვლება ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით
გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული
ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის
არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.
32-ე და 34-ე მუხლები კი შეეხება კოლეგიალურ ადმინისტრაციულ ორგანოს, სააგენტო კი ასეთ
ორგანოს არ წარმოადგენს.

არ არის დარღვეული ასევე, გასაჩივრებული აქტების მომზადების ან გამოცემის
კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები: კერძოდ, კოდექსის 27 2 პრიმა მუხლის მე-3
პუნქტის მიხედვით საჯარო დაწესებულება ვალდებულია განმცხადებლის მიერ განცხადების
წარდგენიდან 10 დღის ვადაში კომერციულ საიდუმლოებად მიიჩნიოს აღნიშნული ინფორმაცია,
მოცემულ შემთხვევაში ქსანი-სტეფანწმინიდის 500 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის
მშენებლობასთან დაკავშირებული ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის შესახებ
ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო შპს „ენერგოტრანსის“ განცხადების საფუძველზე (ასლი თან
ერთვის) და სააგენტომ 10 დღის ვადაში კომერციულ საიდუმლოებად ცნო აღნიშნული
ინფორმაცია.

ზოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე არ არსებობს ბათილობის არცერთი
სამართლებრივი საფუძველი.

მე-2 სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

მე-3 სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულად გადაცემას.

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

რამდენადაც, ეს დოკუმენტაცია წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას და ადმინ
ისტრაციულ ორგანოს არა აქვს უფლება გასცეს მოთხოვნილი დოკუმენტაცია, ასევე სრულ
დასაბუთება მოცემულია პირველ სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებულ დასაბუთები
ნაწილში.

მტკიცებითი შუამდგომლობები

Evidentiary Motions

მოწმე ..... ფაქტობრივი გარემოება(ები)

ექსპერტი ..... ფაქტობრივი გარემოება(ები)

სპეციალისტი ..... ფაქტობრივი გარემოება(ები)

შუამდგომლობები მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის მოთხოვნით.

1.

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.

1.

შუამდგომლობები მტკიცებ ლებათა გამოთხოვის თაობაზე.

1.

სხვა სახის შუამდგომლობები

Other Motions

1. მოთხოვნა

მიგვაჩნია, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად უნდა მოხდეს განსახილველ საქმეში მესამე პირად ჩართვა შპს "ენერგოტრანსი" - ს იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ნ. ბარათაშვილის ქუჩა N2.

არგუმენტაცია:

სადავო აქტით შპს "ენერგოტრანსი" -ს მომართვის საფუძველზე კომერციულ საიდუმლოებად იქნა ცნობილი გარკვეული დოკუმენტაცია და შესაბამისად სასამართლო გადაწყვეტილება პირდაპირ შეეხება მის ინტერესებს.

2. მოთხოვნა

მიგვაჩნია, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად უნდა მოხდეს განსახილველ საქმეში მესამე პირად ჩართვა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა N2.

არგუმენტაცია:

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო წარმოადგენს აღნიშნული სამართალურთიერთობის მონაწილეს.

გაქვთ თუ არა აცილება მოსამართლის მიმართ?

☐ **დიახ** — რის საფუძველზე?

☒ **ა ა**

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი მოსმენისას?

☐ **დიახ** — ვის? — რომელი ენის მცოდნე?

☒ **არა**

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.

სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.

მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:

» რთულადგანჭვრეტადი შედეგი;

» ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;

» სასამართლო ხარჯები;

» სასამართლოსგარეშე ხარჯები;

» ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

დიახ ☐ მორიგების პირობები:

არა ☒ რადგან

თანდართული საბუთების ნუსხა

დანართი 1: საგენტოს უფროსის 2017 წლის 10 მაისი N94-04 ბრძანების დამოწმებული ასლი - 2 ფურცელი;

დანართი 2: შპს "ენერგოტრანსი" -ს 2015 წლის 4 მაისის N354 წერილის ასლი - 2 ფურცელი.

ფურცლების საერთო რაოდენობა: 4

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გა ეშე?

დიახ ☐
არა ☒ რადგან

რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?

15 წუთი რადგან

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?

რი-ზე მეტ სხდომაში რადგან

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?

დიახ ☐
არა ☒ რადგან

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?

ძირითად მისამართზე

დროის ოპტიმალური შუალედი: 10:00 - 14:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

დიახ ☐
არა ☒ რადგან

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!
სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორად/დაუსრულებელი მითითება.

25/09/2017 წ.

გრიგოლ კაკაურიძე

ხელმოწერა ხელმომწერის სახელი, გვარი (სრულად) შევსების თარიღი

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.

ენტრ

საქართველოს ეკონომიკისა.და მდგრადი განვითარების სამინისტრო
MINISTRY OF ECONOMY AND SUSTAINABLE DEVELOPMENT OF GEORGIA

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ტექნიკური და სამშენებლო
ზედამხედველობის სააგენტო

PUBLIC LAW LEGAL ENTITY
TECHNICAL AND CONSTRUCTION
SUPERVISION AGENCY

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA020173847659617

10 / მაისი / 2017 წ.

№ 94-04

,,ქსნის" ქვესადგურიდან დუშეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ოქრუაანამდე (პკ0+პკ.327+44-მდე) 500 კვ. ელექტროგადამცემი ხაზის ,,ქსანი-სტეფანწმინდა"-ს და დუშეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ოქრუაანიდან ყაზბეგის მუნიციპალიტეტის, სოფელ აჩხოტამდე ,,ქსანი-სტეფანწმინდა"-ს 500კვ. ელექტროგადამცემი ხაზის მეორე მონაკვეთის (პკ327+44დან-პკ.950+18-მდე) მშენებლობის პროექტის, ტექნიკური დოკუმენტაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27^2 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების საფუძველზე

ვბრძანებ:

1.მიჩნეულ იქნას კომერციულ საიდუმლოებად ,,ქსნის" ქვესადგურიდან დუშეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ოქრუაანამდე (პკ0+პკ.327+44-მდე) 500 კვ. ელექტროგადამცემი ხაზის ,,ქსანი-სტეფანწმინდა"-ს და დუშეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ოქრუაანიდან ყაზბეგის მუნიციპალიტეტის, სოფელ აჩხოტამდე ,,ქსანი-სტეფანწმინდა"-ს 500კვ. ელექტროგადამცემი ხაზის მეორე მონაკვეთის (პკ327+44დან-პკ.950+18-მდე) მშენებლობის პროექტი, პროექტის კონსტრუქციული და ტექნოლოგიური სქემები, საექსპერტო დასკვნა 500კვ ელექტროგადამცემი ხაზის სტეფანწმინდას მშენებლობის უბნებზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის შედეგებზე, საექსპერტო დასკვნა 500კვ ელექტროგადამცემი ხაზის სტეფანწმინდას მშენებლობის ფუძე-საძირკვლების და მზიდი კონსტრუქციული ნაწილების საპროექტო დოკუმენტაციაზე, საექსპერტო დასკვნა 500კვ ელექტროგადამცემი ხაზის ქსანი-სტეფანწმინდას ტექნოლოგიურ ნაწილზე, კონსულტანტებთან დადებული ხელშეკრულებები და პროექტის ტექნიკური დოკუმენტაცია.

2.ბრძანება შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (ქ. თბილისი, თ. ჭოველიძის ქ. №10ა), ხოლო საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით-თბილისის საქალაქო სასამართლოში (დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6).

3. ბრძანება ძალაში შედის მხარისთვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

საფუძველი:

9/25/2017, 3:46 PM

1. შპს „ენერგოტრანსი"-ს 2017 წლის 4 მაისის N354 განცხადება.
2.სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების ნებართვების სამმართველოს უფროსის თენგიზ კოდუას 05.05.2017 წლის N1267/04 მოხსენებითი ბარათი.

გრიგოლ კაკაურიძე

უფროსი

9/25/2017, 3:4

ენერგოტრანსი
საქართველო, თბილისი 0105, ბარათაშვილის 2 / 2 Baratashvili str. Tbilisi 0105, Georgia ტელ./ფაქსი/tel./fax: +995(32)2510140

354-01-2-201705041842

N 354

04/05/2017

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსს
ბატონ გრიგოლ კაკაურიძეს

ბატონო გრიგოლ,

მოგეხსენებათ, რომ შპს „ენერგოტრანსი“ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ დაკალეგით ახორციელებს ქსანი-სტეფანწმინდის შემაერთებელი 500 კვ. ელ. გადამცემი ხაზის მშენებლობის პროექტს, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს 500 კვ-იანი ელექტროგადამცემი ქსელის გაფართოებას.

მშენებლობის ნებართვის მიღების მიზნით სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს წარედგინა:

1. ქსანი-სტეფანწმინდის შემაერთებელი 500 კვ. ელ. გადამცემი ხაზის მშენებლობის პროექტი.
2. პროექტის კონსტრუქციულ და ტექნოლოგიურ სქემები.
3. საექსპერტო დასკვნა 500კვ ეგხ სტეფანწმინდას მშენებლობის უბნებზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის შედეგებზე;
4. საექსპერტო დასკვნა 500კვ ეგხ სტეფანწმინდას მშენებლობის ფუძე-საძირკვლების და მზიდი კონსტრუქციული ნაწილების საპროექტო დოკუმენტაციაზე;
5. საექსპერტო დასვნა 500კვ ეგხ ქსანი-სტეფანწმინდას ტექნოლოგიური ნაწილზე.
6. კონსულტანტებთან დადებული ხელშეკრულებები.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად საჯარო ინფორმაციაა ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო- და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულებზე საფუძველზე საიდუმლო ინფორმაციას წარმოადგენს ინფორმაცია; ამავე მუხლის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე საჯარო დაწესებულების მიერ პრაქტიულად გამოქვეყნებული საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, რომელიც შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად ყველას აქვს უფლება, გაეცნოს ადმინისტრაციულ ორგანოში არსებულ საჯარო ინფორმაციას, აგრეთვე მიიღოს მისი ასლები, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას ან პერსონალურ მონაცემებს.

ქსანი-სტეფანწმინდის შემაერთებელი 500 კვ. ელ. გადამცემი ხაზის მშენებლობის პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს ყახბეთის რეგიონში არსებული და ამენებარე

ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ევაკუაციას, როგორც საქართველოს შიდა მოხმარებისთვის, ასევე ექსპორტისთვის წარმოადგენს საქართველოს მთავრობის 2012 წლის 30 აპრილის #826 განკარგულების შესაბამისად სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე პროექტს, რომელიც ფინანსდება გერმანიის განვითარების ბანკის (KFW) და საქართველოს მთავრობის მიერ.

პროექტის განხორციელება მიმდინარეობს საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებული განსახლების სამოქმედო გეგმის შესაბამისად.

პროექტის შემადგენელი დოკუმენტაცია ქსანი-სტეფანწმინდის შემაერთებელი 500 კვ. ელ. გადამცემი ხაზის მშენებლობის პროექტი, პროექტის კონსტრუქციულ და ტექნოლოგიურ სქემები, საექსპერტო დასკვნა 500კვ ეგხ სტეფანწმინდას მშენებლობის უბნებზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის შედეგებზე, საექსპერტო დასკვნა 500კვ ეგხ სტეფანწმინდას მშენებლობის ფუძე-საძირკვლების და მზიდი კონსტრუქციული ნაწილების საპროექტო დოკუმენტაციაზე, საესპერტო დასვნა 500კვ ეგხ ქსანი-სტეფანწმინდას ტექნოლოგიური ნაწილზე, კონსულტანტებთან დადებული ხელშეკრულებები და პროექტის ტექნიკური დოკუმენტაცია შეიცავს როგორც პერსონალურ მონაცემს, ასევე პროფესიულ და კომერციულ საიდუმლოებას და აღნიშნული დოკუმენტების მესამე პირთათვის გადაცემა ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

გარდა ამისა, (KFW)-სა და საქართველოს მთავრობის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს საერთაშორისო ხელშეკრულებას, რომელიც ნორმატიული აქტების შესახებ კანონის შესაბამისად იერარქიულად წარმოადგენს ზემდგომ დოკუმენტს. ხოლო აღნიშნული ხელშეკრულება პროექტის შესახებ ინფორმაციის გაცემას KFW სთან შეუთანხმებლად კრძალავს.

გამომდინარე ზემოთ აღნიშნულიდან, გარდა იმ დოკუმენტაციისა რომელიც განთავსებულია სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" ვებ-გვერდზე და აღიარებულია საჯარო ინფორმაციად გთხოვთ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27² მუხლის თანახმად კომერციულ საიდუმლოებად ცნოთ დოკუმენტაცია ქსანი-სტეფანწმინდის შემაერთებელი 500 კვ. ელ. გადამცემი ხაზის მშენებლობის პროექტი, პროექტის კონსტრუქციულ და ტექნოლოგიურ სქემები, საექსპერტო დასკვნა 500კვ ეგხ სტეფანწმინდას მშენებლობის უბნებზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის შედეგებზე, საექსპერტო დასკვნა 500კვ ეგხ სტეფანწმინდას მშენებლობის ფუძე-საძირკვლების და მზიდი კონსტრუქციული ნაწილების საპროექტო დოკუმენტაციაზე, საესპერტო დასვნა 500კვ ეგხ ქსანი-სტეფანწმინდას ტექნოლოგიური ნაწილზე, კონსულტანტებთან დადებული ხელშეკრულებები და პროექტის ტექნიკური დოკუმენტაცია და არ გადასცეთ მესამე პირებს.

პატივისცემით,
კახა სეხნიაშვილი

დირექტორი

თბილისი 0186
ვლ.ჯიქიას ქ. №8
სსიპ-ტექნიკური და სამშენებლო
ზედამხედველობის სააგენტო
ს/№202466991







საქართველოს ფოსტა

C010003467336

Georgian Post